ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1856076

ნომერი: AR1296255

თარიღი : 23.03.2015

გაცემის თარიღი : 23.04.2015

გაცნობის თარიღი : 23.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი III , კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/104 / ქალაქი თბილისი , მასივი III , კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/103 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი სექანია პ/ნ 01012010642
- თბილისი ვ.ბერიძის ქ.#6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე საჩრდილობლების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მასივი III, კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/104 / ქალაქი თბილისი, მასივი III , კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/103–ში, შ.პ.ს. "არწივი 08"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N01.19.20.024.112), კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე საჩრდილობლების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882013318573 11/07/2013წ. საკადასტრო კოდი N 01.19.20.024.112; სამსახურის მიერ გაცემული გადაწყვეტილება №1252668 05.05.2014წ.; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მასივი III, კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/104 / ქალაქი თბილისი, მასივი III , კვარტალი VII , კორპუსი 5 , მიმდებარედ , ნაკვეთი 24/103–ში, შ.პ.ს. "არწივი 08"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N01.19.20.024.112), კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე საჩრდილობლების მოწყობის შესაძლებლობას.

დაცული იქნას საპროექტო საჩრდილობლების კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.